

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ახალციხე

29 მარტი, 2013 წ.

CENN - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის, ნანა ჯანაშიას, სახით და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი რექტორის, მერაბ ბერიძის, სახით, ამ მემორანდუმზე ხელმოწერით თანხმდებიან შემდეგზე:

CENN, „კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება (CCADM)“ პროექტის ფარგლებში, USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით, გადასცემს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ეკოლაბორატორიისათვის საჭირო ინვენტარს (მიკროსკოპებს, მიკროსკოპის კამერას, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შეფასების პროგრამა „ეკოლოგს“, პროექტორს, პორტატულ კომპიუტერს, პროექტორის ეკრანსა და ბანერებს) და აღადგენს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მეტეოსადგურს.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ეკოლაბორატორიისა და მეტეოსადგურის გამართულ ფუნქციონირებას უნივერსიტეტის და რეგიონში არსებული გარემოსდაცვითი პროფილის ორგანიზაციების სასწავლო და სამეცნიერო მიზნებისათვის.

მემორანდუმი იდება უვადოდ და იგი ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

CENN – კავკასიის გარემოსდაცვითი
არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი



ნანა ჯანაშია
აღმასრულებელი დირექტორი



მერაბ ბერიძე
რექტორი